

## განცხადება

### სავალდებულო სატენდერო შეთავაზების თაობაზე

თარიღი: 24/06/2024

ქ. თბილისი

- **სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ აქციონერთა საყურადღებოდ**

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 11 მაისს სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ.#5/ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. #16-18, მე-3 სართული, ოთახი 309, ს/ნ 202886172) (შემდგომში ასევე მოხსენიებული, როგორც „საზოგადოება“) იურიდიულ მისამართზე გაიმართა აქციონერთა მორიგი საერთო კრება, რის ფარგლებშიც საერთო კრებაზე დამსწრე აქციონერებმა, რაც შეადგენს ხმის უფლების მქონე აქციების საერთო რაოდენობის 96,64% ერთხმად (დამსწრე ხმების 100%) მიიღეს გადაწყვეტილება საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსის უარის თქმის თაობაზე (*აქციონერთა კრების ოქმი, სანოტარო მოქმედების ნომერი: N240557991*). აღნიშნული ხორციელდება ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 55<sup>3</sup> მუხლის შესაბამისად, რომელიც გარდა ამ საკითხზე საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, ავალდებულებს წილობრივი ფასიანი ქაღალდების მფლობელს/მფლობელებს, რომელმაც/რომლებმაც მხარი დაუჭირა/დაუჭირეს გადაწყვეტილებას საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსზე უარის თქმის შესახებ, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 45 დღისა განახორციელოს/განახორციელონ სატენდერო შეთავაზება ემიტენტის მიერ გამოშვებული ყველა საჯარო წილობრივი ფასიანი ქაღალდის გამოსყიდვის თაობაზე.

წინამდებარე სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ფარგლებში შემთავაზებლებს წარმოადგენენ შემდეგი აქციონერები:

1. ვასილი მენტეშაშვილი, პ/ნ 01017016550 - 35613 ხმა, რაც შეადგენს ხმის უფლების მქონე აქციების საერთო რაოდენობის 41.66% - ს, ხოლო დამსწრე ხმების რაოდენობის 43,11%
2. ალექსანდრე ანჯაფარიძე, პ/ნ 01017013511 - 5383 ხმა, რაც შეადგენს ხმის უფლების მქონე აქციების საერთო რაოდენობის 6,30% - ს, ხოლო დამსწრე ხმების რაოდენობის 6,52%
3. რუზანა არუთინიანი, პ/ნ 01008015883 - 30 ხმა, რაც შეადგენს ხმის უფლების მქონე აქციების საერთო რაოდენობის 0,035% - ს, ხოლო დამსწრე ხმების რაოდენობის 0,04%
4. დევი ოვაშვილი, პ/ნ 06001000834 - 16699 ხმა, რაც შეადგენს ხმის უფლების მქონე აქციების საერთო რაოდენობის 19,53% - ს, ხოლო დამსწრე ხმების რაოდენობის 20,21%
5. ნინო ჩანტლაძე, პ/ნ 01008046086 - 18914 ხმა, რაც შეადგენს ხმის უფლების მქონე აქციების საერთო რაოდენობის 22,12%-ს, ხოლო დამსწრე ხმების რაოდენობის 22,89% (წარმომადგენელი დევი ოვაშვილი, პ/ნ 06001000834, ნოტარიუსი ლელა ონიანი, დამოწმების თარიღი 01.05.24, რეესტრი # 240531204)

6. ვახტანგი ბართაია, პ/ნ 01024025046 - 1230 ხმა, რაც შეადგენს ხმის უფლების მქონე აქციების საერთო რაოდენობის 1,44% - ს, ხოლო დამსწრე ხმების რაოდენობის 1,49% (წარმომადგენელი ზურაბ ბართაია, პ/ნ 01024047250, ნოტარიუსი ქეთევან ძლიერიშვილი, დამოწმების თარიღი 10.05.24, რეესტრი # 240555846)
7. ოთარ ანჯაფარიძე, პ/ნ 01017004156 - 1901 ხმა, რაც შეადგენს ხმის უფლების მქონე აქციების საერთო რაოდენობის 2,22% - ს, ხოლო დამსწრე ხმების რაოდენობის 2,30%(წარმომადგენელი ნათელა ანჯაფარიძე, პ/ნ 01008016406, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, დამოწმების თარიღი 26.12.11, რეესტრი # 111410666)
8. გიორგი ანჯაფარიძე, პ/ნ 01008014156 - 2847 ხმა, რაც შეადგენს ხმის უფლების მქონე აქციების საერთო რაოდენობის 3,33% - ს, ხოლო დამსწრე ხმების რაოდენობის 3,45%(წარმომადგენელი ნათელა ანჯაფარიძე, პ/ნ 01008016406, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, დამოწმების თარიღი 24.12.11, რეესტრი # 111405424)

შემდგომში ერთად მოხსენიებულნი, როგორც „შემთავაზებლები“.

წინამდებარე სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ფარგლებში „შემთავაზებლები“ გამოთქვამენ სურვილსა და მზადყოფნას გამოისყიდონ საზოგადოების დარჩენილი **2872** (ორი ათას რვაას სამოცდათორმეტი) ჩვეულებრივი აქცია, რომელიც შეადგენს განთავსებული აქციების 3.2044 %-ს.

#### გამოსყიდვის პირობები და პროცედურები

- საზოგადოებას გამოშვებული აქვს მხოლოდ ჩვეულებრივი აქციები. განთავსებული აქციების საერთო რაოდენობა შეადგენს 89625 (ოთხმოცდაცხრა ათას ექვსას ოცდახუთი), რაც შეადგენს 100 %-ს. საზოგადოებას გააჩნია საკუთარი აქციები 4,136 ერთეული, რაც არის 4.61478% საერთო აქციებთან მიმართებით. სააქციო საზოგადოებას საკუთარი აქციებიდან აქციონერის უფლებები არ წარმოემოზა. აქციების 85489-ს (ოთხმოცდახუთი ათას ოთხას ოთხმოცდაცხრა) განთავსებულია სხვა აქციონერებზე.
- შემთავაზებლები ამჟამად ჯამურად ფლობენ სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებულ 82617 (ოთხმოცდაორი ათას ექვსას ჩვიდმეტი) ჩვეულებრივ აქციას, რაც ერთობლივად შეადგენს განთავსებული ხმის უფლების მქონე აქციების 96,6405 %-ს, ხოლო საერთო განთავსებულ აქციებთან მიმართებაში 92,1807%-ს. მათ სურთ გამოისყიდონ 2872 (ორი ათას რვაას სამოცდათორმეტი) ცალი ხმის უფლების მქონე აქცია, რომელიც შეადგენს სააქციო საზოგადოების განთავსებული ხმის უფლების მქონე აქციების 3,36%-ს, ხოლო, საერთო განთავსებულ აქციებთან მიმართებაში 3.20446%-ს. სავალდებულო სატენდერო შეთავაზება არ მიემართება საზოგადოების საკუთარ აქციებს.
- სააქციო საზოგადოების ერთი ცალი ხმის უფლების მქონე აქციის გამოსასყიდი ფასი შეადგენს ლარს, 185.54 ლარს (66.73 აშშ დოლარს 2024 წლის 30 მაისის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად), ხოლო ჯამურად 2872 ცალი აქციისთვის შეადგენს

533,721 ლარს. გამოსასყიდი ფასი სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მიზნებისთვის დადგენილია აუდიტორული კომპანია შპს ფინანსური მართვის ჯგუფის (ს/კ 205279660) მიერ, რომელიც დამოუკიდებელია და არ არის საზოგადოებასთან დაკავშირებული პირი; დადგენილი გამოსასყიდი ფასი არ არის იმ უმაღლეს ფასზე ნაკლები, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა პირმა ბოლო 6 თვის განმავლობაში გადაიხადა საზოგადოების ამ კლასის ფასიან ქაღალდში;

- სავალდებულო სატენდერო შეთავაზება გამოქვეყნდება 2024 წლის 26 ივნისს.
- სავალდებულო სატენდერო შეთავაზება დაიწყება 2024 წლის 26 ივნისის დღის 00:00 საათიდან და გრძელდება 2024 წლის 27 აგვისტოს საღამოს 00:00 საათამდე. მოცემულ დროში აქციონერს უფლება ექნება, დააფიქსიროს თანხმობა/უარი სატენდერო შეთავაზებაზე. განცხადებები მიიღება მხოლოდ ამ ვადაში;
- შემთავაზებლები სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში განიხილავს მიღებულ განცხადებებს და ამავე ვადის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას გამოსყიდვის თაობაზე;
- სატენდერო შეთავაზება შედგება მხოლოდ მაშინ, თუ შემთავაზებლები განცხადებაში მითითებული რაოდენობის აქციების გაყიდვაზე მიიღებენ თანხმობას. ამ შემთხვევაში შემთავაზებლები გამოსყიდიან აქციათა სრულ რაოდენობას;
- სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ნებისმიერი პირობის შეცვლის შემთხვევაში, გაკეთდება სატენდერო შეთავაზების თაობაზე განცხადების განახლებული ვერსია და გავრცელდება კანონით დადგენილი წესით;
- შესყიდვა განხორციელდება სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- შემთავაზებლებისთვის გათვალისწინებულზე მეტი ფასიანი ქაღალდის გაყიდვაზე თანხმობის მიღების შემთხვევაში ფასიანი ქაღალდები შესყიდულ იქნება თანაბარწილად, პროცენტულობის ან რაოდენობის მიხედვით;
- შემთავაზებლებს აქციონერების მიერ მათ საკუთრებაში არსებული აქციების გაყიდვაზე წერილობითი განაცხადებები (აქცეპტის წერილები) უნდა ჩაბარდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ.#5/ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. #16-18, მე-3 სართული, ოთახი 309.
- შესაძენ აქციათა გამოსასყიდი ფასის შეფასების ანგარიშის გაცნობა აქციონერებს შეუძლიათ ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ.#5/ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. #16-18, მე-3 სართული, ოთახი 309.

შემთავაზებლების უფლებამოსილი პირი: ვასილი მენთეშაშვილი

(უფლებამოსილება (რწმუნებულება) განისაზღვრება 2024 წლის 11 მაისის აქციონერთა კრების ოქმის მიხედვით, სანოტარო მოქმედების ნომერი: N240557991).

ხელმოწერა: